„მაქსიმ შევჩენკოს ინტერვიუ“

31.05.2018 ტელეკომპანიის, „ЭХО МОСКВЫ“, ეთერში გავიდა გადაცემა „ОСОБОЕ МНЕНИЕ“, რომელშიც რუსი ჟურნალისტი მაქსიმ შევჩენკო, სხვა თემებთან ერთად, სირიის არაბული რესპუბლიკის მიერ, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების საკითხსაც შეეხო.

ინტერვიუში, მაქსიმ შევჩენკომ ისაუბრა ე.წ. აღიარების მიზეზებზე და მიზნებზე. მისი თქმით, სირიის ამ ნაბიჯს ერთადერთი მიზეზი გააჩნია, რუსეთის მხრიდან ზეწოლა.

რუსმა ჟურნალისტმა დაამატა, რომ ე.წ. აღიარების ფაქტი მოხდა პოზიტიური მოლაპარაკებების ფონზე, რომელსაც გრიგორი კარასინი მის ქართველ კოლეგასთან აწარმოებდა, სახეზე იყო აშკარა დაახლოება და პოზიტივი სხვადასხვა მიმართულებით და აი, ამ ფონზე სრულიად მოულოდნელად იდგმება მორიგი, გამოხატულად ანტიქართული ნაბიჯი - სოხუმისა და ცხინვალის ახალი აღიარება მრავალწლიანი პაუზის შემდეგ.

აღნიშნულ ინტერვიუში, მაქსიმ შევჩენკომ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ლავროვი და სომხური ლობი ღიად დაადანაშაულა ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში. მისი თქმით, სომხეთს სურს სამხრეთ კავკასიაში წარმოჩინდეს რუსეთის ერთადერთ ერთგულ მოკავშირედ.

31.05. 2018 იხ. ვიდეო მე-17 წუთიდან https://www.youtube.com/watch?v=VzJzI8AaLsM

„თურქეთის საგარეო უწყების განცხადება’

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტი დაგმო.

საგარეო უწყების განცხადებაში ვკითხულობთ, ბაშარ ალ-ასადის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას და სეპერატისტულ რეგიონებთან ე.წ. დიპლომატიური კავშირების დამყარება საერთაშორისო სამართლის ნორმების, გაეროს დებულების და გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამამისი რეზოლუციების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

თურქეთის საგარეო უწყების წარმამადგენლის ჰამი აქსოის განცხადებით, თურქეთმა არაერთხელ დაუჭირა მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

30.05.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე http://arab.com.ua/ru/ankara-osudila-siriju-za-priznanie-abhazii-i-jujno-osetii

„სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციები განცხადებას ავრცელებენ“

სომხეთის არასამთავრობო სექტორი ოკუპირებული აფხაზეთის მოქალქის მიერ ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პასპორტის კვეთის ფაქტს ეხმიენება და სომხეთის ხელისუფლებას მომხდარზე სასწრაფო და ეფექტური რეაგირებისკენ მოუწოდებს.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზმა ახალგაზრდა ქალმა სომხეთის ტერიტორიაზე ე.წ. აფხაზური პასპორტით შეაღწია. პირმა, რომელიც სოციალურ ქსელ ფეისბუქში ხამიდა არჯემიას სახელ–გვარითაა დარეგისტრირებული, ე.წ. პასპორტის ფოტობიც გამოაქვეყნა.

გამოქვეყნებული ფოტოს მიხედვით, ე.წ. აფხაზურ პასპორტში ჩარტყმულია აეროპორტ ზვარტნოცის სასაზღვრო სამსახურის 2 ბეჭედი, რომელთა შორის პირველი სომხეთში 11 მაისს შესვლას მოწმობს, ხოლო მეორე – 15 მაისს გასვლას.

სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში ვკითხულობთ, „ეს ფაქტი უხეშად ეწინააღმდეგება სომხეთის კანონმდებლობას. კერძოდ, „უცხოეთის მოქალაქეების შესახებ“ კანონის თანახმად, პასპორტი გაცემული უნდა იყოს უცხოური სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, აფხაზეთს კი სომხეთი სახელმწიფოდ არ აღიარებს და, შესაბამისად, მის მიერ გაცემული ვერც ერთი დოკუმენტი სომხეთის რესპუბლიკაში პასპორტად ვერ ჩაითვლება“.

01.06.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე http://www.aravot-ru.am/2018/06/01/275211/

„დამსვენებელთა უსაფრთხოების შესახებ“

ოკუპირებულ აფხაზეთში სასტუმროს ფასები შარშანდელთან შედარებით 30 % - ით შემცირდა. ტუროპერატორების ნაწილის შეფასებით, ტარიფების ვარდნა, ზოგიერთ შემთხვევაში, ბაზარზე საზაფხულო აქციების დაწესებამ გამოიწვია. მათი ინფორმაციით, მოთხოვნის თვალსაზრისით, ყველაზე კარგი სიტუაცია გაგრასა და ბიჭვინთაშია. სხვები კი ფიქრობენ, რომ ფასების დაცემა შარშანდელმა მოვლენებმა გამოიწვია. მაშინ დამსვენებლების დიდი ნაკადის გადინება აფხაზეთში მოსკოველი ტურისტის მკვლელობას მოჰყვა.

ოკუპირებულ აფხაზეთში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ტურისტების უსაფრთხოების საკითხზე. ამასთან დაკავშირებით, დე-ფაქტო მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სანაპირო ზოლებში პატრულირების გააქტიურების და ტურისტებისთვის ცხელი ხაზის ამოქმედების შესახებ. ასევე, გაძლიერდება ეპიდემიოლოგიური კონტროლი.

04.06.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე http://www.apsnylife.ru/syuzhety/99-syuzhety/2847-voprosy-bezopasnosti-otdykhayushchikh-nakhodyatsya-v-tsentre-vnimaniya-vlastej

„რაულ ხაჯიმბა სირიაში ვიზიტს გეგმავს“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა სირიაში ვიზიტს გეგმავს და ბაშარ ალ-ასადს სოხუმშიც ეპატიჟება.

ამის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამის შესაძლებლობა რუსეთში, სირიისა და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ელჩებმა განიხილეს.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყებამ სირიის მხარეს "მეგობრობისა და თანამშრომლობის" შესახებ შეთანხმების პროექტიც გაუგზავნა. რაულ ხაჯიმბამ მათ ასევე ოკუპირებულ აფხაზეთსა და სირიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებასა და ვიზიტების დაგეგმვაზე მუშაობა დაავალა.

04.06.2018 იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე https://aiaaira.com/technology/item/448-gotovitsya-abkhazo-sirijskaya-vstrecha-na-vysshem-urovne

„პოლიტიკური პარტია „ამცახარას“ ყრილობა“

2018 წლის 5 ივნისს, ოკუპირებულ სოხუმში მდებარე სასტუმრო „ინტერ-სოხუმში“ ე.წ. პოლიტიკური პარტია „ამცახარას“ მე-10 ე.წ. ყრილობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 600 ე.წ. დელეგატმა და მიწვეულმა სტუმარმა მიიღო.

ე.წ. ყრილობაზე სტუმრის სტატუსით მიწველნი იყვნენ, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ექს-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, ე.წ. ოპოზიციურ ძალთა გაერთიანების თანათავმჯდომარე და ფონდ

„აპრას“ ხელმძღვანელი ასლან ბჟანია, ყოფილი შს მინისტრი და ამჟამად ე.წ. პარლამენტის დეპუტატი რაულ ლოლუა და ე.წ. პარტია „ედინაია აბხაზიას“ თავმჯდომარე სერგეი შამბა.

ე.წ. ყრილობა „ამაცახარას“ პოლიტსაბჭოს ე.წ. თავმჯდომარემ ალხაზ კვიცინიამ თავისი მოხსენებით გახსნა, რომელშიც მან ისაუბრა ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ პრობლემებზე. კერძოდ, უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე, დე-ფაქტო ხელისუფლების დეგრადირებაზე, საზოგადოების ურთიერთდაპირისპირებაზე და სხვა.

ე.წ. ყრილობაზე მრავალჯერ გაიჟღერა, ე.წ. პრეზიდენტის ვადამდელი გადადგომის მოთხოვნამ, რასაც დამსწრეები ოვაციებით ხვდებოდნენ.

ე.წ. ყრილობის დასასრულს, მონაწილეებმა მიიღეს ე.წ. რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ.

1. „აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე რაულ ხაჯიმბას მოღვაწეობა არაკომპეტენტურად და სახელწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის შემცველად ჩაითვალოს.

მიემართოს პრზიდენტს ნებაყოფილებით ვადამდე დატოვოს თავისი პოსტი.

2. რაულ ხაჯიმბას მხრიდან, სათანადო რეაგირების არქონის შემთხვევაში, არაკონტროლირებადი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, ოპოზიციური ძალები იძულებულ იქნებიან მოამზადონ კანონიერი აქციები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე“.

05.06.2018 ვრცლად იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე https://www.ekhokavkaza.com/a/29273806.html